

თათია ჩოკორაია

LCC International University

„ერაზმუს + პროგრამის“ ფარგლებში, სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი ქრისტიანული ლიბერალური ხელოვნების საერთაშორისო უნივერსიტეტში (LCC International University) (კლაიპედა, ლიეტუვა).

ნაცოფიერი სამუშაო კვირის პერიოდში შევხვდი ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და ლექტორებს. გამოვარჩევდი რამდენიმე შეხვედრას:

ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკან ჯოზეფ ჰარდერთან განვიხილე პლაგიატის პრევენციის პოლიტიკა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები; ხოლო აკადემიური წერის ლექტორ ირენ ბრონსიკთან ვიმსჯელე აკადემიური წერის სწავლების სპეციფიკის, სტუდენტთა გამოწვევების, სწავლების მეთოდისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხების შესახებ.

დამატებით ასევე შევხვდი სტუდენტთა წარმატების ცენტრის მენეჯერს, რომელმაც გამაცნო წერის ტრენინგებთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო სისტემა. ასევე დავესწარი ლექციებსა და სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომების დაცვას. ვფიქრობ, ერთკვირიანი პროგრამა იყო სასარგებლო და საინტერესო. დატვირთულ სამუშაო შეხვედრებთან ერთად, უნივერსიტეტმა საშუალება მომცა დამეთვალაიერებინა ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, დავმტკბარიყავი საერთაშორისო უნივერსიტეტის მშვიდი და სასიამოვნო კამპუსით, ასევე ახლოს გამეცნო აკადემიური წერის ლექტორის ამერიკული ოჯახი, რამაც სამუშაო კვირას განუმეორებელი ხიბლი და ემოცია შესძინა.